

## სულთან მეჰმედ IV-ის ბრძანებულება იერუსალიმის ყადისადში წმინდა მიწის ქართული მონასტრების შესახებ

წმინდა მიწაზე ოსმალთა ხანის ქართული სამონასტრო თემის ისტორიის წერილობითი წყაროები დიდი რაოდენობითაა დაცული იერუსალიმის ბერძნული მართლმადიდებელი საპატრიარქოს ბიბლიოთეკის არქივში. აქ შექმნილი ან გადანერვილი XI-XVII საუკუნეების 159 ქართული ხელნაწერისა და ორი ისტორიული საბუთის გვერდით ინახება სხვადასხვა ფორმულარის ასზე შეტი დოკუმენტი არაბულ და თურქულ ენებზე (Торлика 1992)<sup>1</sup>. სამწუხაროდ, 2001 წლის 17 დეკემბრიდან 2002 წლის აპრილამდე ისრაელსა და პალესტინაში ქართველ მეცნიერთა კომპლექსური ექსპედიციის მუშაობის დროს (ხელმძღვანელი თ. მგალობლიძე) მათზე თვალის შევლელაც კი შეუძლებელი აღმოჩნდა.<sup>2</sup>

გასული საუკუნის 90-იან წლებში იერუსალიმში ხანგრძლივი მივლინების დროს კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელმა

<sup>1</sup> კატალოგში შესულ მასალას გავეცანი ეკა დულაშვილისა და თამარ შესხის დახმარებით. რასაც დიდი მადლიერებით აღვნიშნავ.

<sup>2</sup> ექსპედიციის მუშაობის პირობებისა და შედეგების შესახებ იხ. Akademia, ისტორიულ-ფილოლოგიური ჟურნალი, 2003, ტ. 5 (A).

ამჟამად არაბისტ გოჩა ჯაფარიძის მეცნიერული ინტერესებისა და გულითადი კოლეგიალური დამოკიდებულების შედეგად ჩემს ხელთაა სულთან სულეიმან კანუნის 1521-1524 და 1514-1540 წლების, სელიმ II-ის - 1568 წლის, აშუედ I-ის 1605-1607 და 1614 წლების ბრძანებულებები ქაქელის, ჯერის, აშუდისა და გოლგოთის შესახებ. საბუთების ძნელად გასარჩევი ტექსტების ამოკითხვასა და გამართვზე მუშაობას დღემდე ვაგრძელებ. ასევე ძნელად გასარჩევი აღმოჩნდა საბუთების 10750-ზე იმდროინდელი ქართველი და ბერძენი ბერებისა და წმინდა მამების მიერ ბერძნულად და ქართულად შესრულებული მინაწერები. ქართული ტექსტები კალიგრაფიული ასომთავრულით, გაკრული წუსხა-ხუცურიით, იმეიათად კი მხედრულითაა შესრულებული: „ესე წიგნი ნაიბისა არის“, „ეს ხუანთქრის ბრძანების სურათი (პირი - ე.ა.) ჯუარის მონასტრისათვის მიცემული“, „ბრძანება იოვანე მახარებლის ჯუარის მამის ბარნაბასაგან აღებული“, „ხუანთქრის არზა ჯუარის მონასტერში თათრის ჯამი და მუნ არა იყო რა“ და სხვ.

იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს ბიბლიოთეკის არქივიდან არაბული და ოსმალური საბუთების ფოტოპირების მოპოვების შესახებ იხ. ჯაფარიძე, ბუაჩიძე 2009: 538-557.

თინათინ ცერაძემ საპატრიარქოს არქივიდან „დაიმსახურა“ ერთი ოსმალური საბუთის ქსეროპირი, რომელიც შესასწავლად გადმომეცა. ეს არის სულთან მეჰმედ IV-ის (1648-1687) მიერ იერუსალიმის ყადისადში გაგზავნილი ბრძანებულება, უფრო ზუსტად „ჰუქმი შიქაძეთი“. ბრძანებულება გაცემულია სულთნის მაღალ კარზე პატრიარქ დოსითეოს II-ისა და ქრისტიანი ბერების მიერ გაგზავნილი არზის პასუხად. ჩვენამდე მოღწეულია მხოლოდ ბრძანებულების ასლი. იგი გადმოღებულია სამხედრო შარიათის მოხელის მიერ, რომელსაც უჭირს დედნიდან არაბიკათი დანერილი ქრისტიანული სახელების ამოკითხვა და სწორად გადმონერა (მაგალითად, ნმ. თევდორე  $\text{مار تاروس}$  Mar Tardaros, ხოლო  $\text{دير التافاف}$  Deyr al-Tafafa ?), გაუგებარია რომელი ქართული მონასტრის სახელი იგულისხმება. სახელის ფლერადობის გამო შეიძლება გვეფიქრა „ნმ. თეკლა“. მაგრამ ნმ. თეკლას მონასტერი ქართველებმა ბერძნულ საპატრიარქოს ჯერ კიდევ პატრიარქ თეოფანეს დროს გადასცეს).

სულთნის უმაღლესი კანცელარიიდან გამოსული საბუთი უთუოდ დაცული იქნება იერუსალიმის შარიათის სასამართლოს არქივში – ბრძანებულების ადრესატი არის ყადი. საპატრიარქოს ბიბლიოთეკის არქივში კი მხოლოდ აქ ნარჩოდგენილი ასლი ინახება (Tseliha 1992:487).

ბერძნული მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქი დოსითეოს II (1669-1707) „იერუსალიმის პატრიარქების ისტორიაში“ აღნიშნავს: „1682 წლის აგვისტოში კონსტანტინოპოლში გავემგზავრეთ, [ნმ. საფლაკის] მამებს კი უბრძანეთ, ყადი თუ მცირე თანხაზე დათანხმდებოდა, განეახლებინათ ივერთა მონასტრები. ძალიან გავერანებულნი იყო განსაკუთრებით სამი: ნმ. ჯვრის, ნმ. ბასილის და ნმ. ნიკოლოზის. მამებმა ისარგებლეს ხელსაყრელი შემთხვევით, მოსამართლეს გამოართვეს ხოჯეტი (sic), ანუ შეკეთების ნებართვა იმ მონასტრებისა, რომლებიც დავასრულეთ. ერთ წელიწადში დავასრულეთ ივერთა შემდეგი მონასტრები: ნმ. ჯვრის, ნმ. ნიკოლოზის, ნმ. ბასილის, ნმ. თევდორეს, ნმ. ანასი და ნმ. გიორგისა ევრიადში. რაც იმ დროს უსიამოვნებანი მოხდა, ახლა მათზე ლაპარაკის დრო არ არის“.<sup>1</sup> სწორედ „იმ დროს მომხდარ უსიამოვნებათა“ შედეგია სულთან მეჰმედ IV-ის მიერ იერუსალიმის ყადისადში 1684 წლის იანვარში გამოცემული წინამდებარე ბრძანებულება.

წმინდა მამებს იერუსალიმის ყადის ჰუჯათის შესაბამისად აღუდგენიათ „დანგრევის პირამდე მისული“ ეკლესია-მონასტრები: ნმ. საბას ლავრა, ნმ. ჯვრის, ნმ. ნიკოლოზის, ნმ. ბასილის, ნმ. თევდორეს, ნმ. ანასი და ნმ. გიორგის. ქრისტიანთაგან ჩატარებული აღდგენითი სამუშაოების გამო ადგილობრივი უბირი მოსახლეობა ( $\text{أهل المدينة}$ ) აღშფოთებულია და წმინდა მამებს დამუქრება – კანონიერ საზღვრებს გასცდნენ და ამიტომ აღდგენილს დავანგრევთ.

<sup>1</sup> პატრიარქ დოსითეოსის „იერუსალიმის პატრიარქების ისტორიასა“ და საქართველოში გამოგზავნილ მის ეპისტოლეებს ეუთითებ შემდეგი პუბლიკაციების მიხედვით: მამისთვალში 2008; ტოვაძე 1971; Кантеса 1897.

დოსითეოსმა და წმინდა მამებმა ეფირნემი (ადრიანოპოლში) მყოფ სულთანს არზა წარუდგინეს მუსლიმთაგან ქრისტიანი ბერებისა და აღდგენილ ნაგებობათა დაცვის თხოვნით. სულთანმაც ირწმუნა პატრიარქისა და ქრისტიანი ბერების განაცხადი და იერუსალიმის ყადის უბრძანა: „ჩემი წმინდა ნება-სურვილი არ არის ლატაკ ბერებს ისე მკაცრად და არაადამიანურად, მეტისმეტად ზღვარსგადასულად მოეპყრათ, როგორც მათ არზაშია წარმოდგენილი. მართათის ჰუჯათისა და ჩემი უზენაესი ბრძანებულების საწინააღმდეგო და შეუსაბამო საქმეს ნურავის ჩაადენინებთ. საჭირო არ გახდეს აღნიშნული ვითარების გამო ჩემი ბრძანებულების განმეორებით გამოცემა“. მოელენათა განვითარების შემდგომ მუსლიმი მოსახლეობა იძულებული გამხდარა უსიტყვოდ დამორჩილებოდა სულთნის ბრძანებულებას, თუმცა სინამდვილეში მათ წმინდა მამებზე გაბრაზებისა და დაშურების მიზეზი ჰქონდათ.

პატრიარქი დოსითეოსი 1699 წლის მარტში ადრიანოპოლიდან საქართველოში გამოგზავნილ ეპისტოლეში იერუსალიმში ჩატარებული აღდგენითი სამუშაოების შესახებ წერდა: „ჩვენ აღვაშენეთ ივერთა მონასტრები - აღვაშენეთ ახალი კედლები და ხენაკები“. ისლამური სამართალით იკრძალებოდა მუსლიმურ გარემოში ძველი ქრისტიანული ნაგებობის დანგრევა და ახლის აგება; ჩვეულებრივ, ძველის შეკეთების შემთხვევაში რაიმეს დამატებაც იკრძალებოდა (Heyd 1960: 174), „როცა რაიმე ძველი დაინგრევა, უნდა აღდგეს დანგრეული ძველი იმის გარეშე, რომ აშენდეს ახალი“ (ორენი 1991: 23). ეს პირობა ამკარად დაირღვა წმ. საბას ლავრის აღდგენა-გამაგრების დროსაც, როცა განახლდა შიდა კედლები, დამატებით აშენდა მეორე ახალი კედელი და სახლი (სხვაგან „დიდი კელია“ - ც. ა.) (Смачкин 1904: 72-79). ამის გამო წმ. საბას ლავრაში ჩატარებული აღდგენითი სამუშაოები, მისი მასშტაბურობის გამო, „გადაკეთებადაც“ კი შეფასდა (მამისთვალში 2008: 131). წმინდა მინის ქართულ მონასტრებთან დაკავშირებულ არაერთ ოსმალურ საბუთში ქართული მონასტრების გვერდით წმ. საბას ლავრა ხშირად იხსენიება (იხ. სულთან სულეიმან II-ის 1688 წლის ბრძანებულებანი წმინდა საფლავის საძმოს დაქვემდებარებაში არსებული ეკლესია-მონასტრების შესახებ.)

რაც შეეხება აღდგომის, იგივე უფლის საფლავის აღდგომის ეკლესიას „იერუსალიმის პატრიარქების ისტორიაში“ აღნიშნულია, რომ ის „ადრე დანგრეული იყო. მისი განახლებისათვის შეგროვილი ფულით პატრიარქმა გადაიხადა ქართველების ვალის პროცენტები“ (მამისთვალში 2008: 139); პატრიარქი დოსითეოსი 1681 წლის დასაწყისში სასწრაფოდ საქართველოში გამოემგზავრა. ამის შესახებ იგი 1699 წელს გამოგზავნილ ეპისტოლეში წერდა: „მოუხედავად წმინდა საფლავის აღდგენის საჭიროებისა, ყველაფერი მივატოვეთ და მოვედით ივერიაში“.

სულთნის ქვემოთ წარმოდგენილ ბრძანებულებაში რატომღაც არ იხსენიება წმ. ანასა და წმ. გიორგის (ვერიადში) ქართული მონასტრები. არც ერთი ეს სახ-

ული არ იკითხება ტექსტის იმ მონაკვეთში (Deyr al-Tafafa?), რომლის იდენტიფიკაციასაც ვერ ვახერხებ.

იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქო, განსაკუთრებით, თავად პატრიარქი დოსითეოს II, თავდაუზოგავად იღვწოდა ქართული მონასტრების აღდგენისათვის და ვალების გასასტუმრებლად. მისი თქმით, 20, 30, 40 წლის მანძილზე „მიტოვებული“, „გამოკეტილი“ და „დანგრევის პირამდე მისული“ ნმ. ჯერის, ნმ. ნიკოლოზის, ნმ. ბასილის, ნმ. თევდორეს, ნმ. ანას და ნმ. გიორგის მონასტრების აღდგენისა და მათი ვალების გასტუმრებისათვის „ზრუნვა“ უპირველესად ნაკარნახევი იყო შიშით, რათა სომხებსა და კათოლიკე ფრანცისკელებს „არ გამოესყიდათ“ ისინი „სესხის გამცემ აგარიანთაგან“. ბერძნები ცდილობდნენ, „არ დაეშვათ ბოროტება და შეურაცხყოფა მართლმადიდებელთა მთელი მოდგმისა“. დოსითეოს II მოსკოვის პატრიარქ იოაკიმისადმი 1686 წელს გაგზავნილ წერილში აღნიშნავდა: „არ შეგვეძლო დაგვეშვა, რომ ლათინებსა და სომხებს გამოესყიდათ მევალებისაგან ქართველთა მონასტრები“ (Каптерев 1866: 142-143). საამისო გამოცდილება მართლაც მწარე იყო. ასე გადავიდა ნმ. იაკობის ქართველთა მონასტერი სომეხთა და ნმ. იოანე მახარებლის (იგივე სვეტი ანუ ამუდი, ახლანდელი მაცხოვრის) მონასტერი ფრანცისკელების ხელში.

პატრიარქი დოსითეოსი 15-20 წლის მანძილზე ახლადმოშობადარი ფაქტის სიმძაფრით აერცელებდა ინფორმაციას ბერძნებისაგან ნმინდა მიწის ქართული მონასტრების ნაგებობათა გამაგრების და მოგვიანებით იქ მსახურების აღდგენის შესახებ. თუმცა მონასტრების აღდგენა-გამაგრების პროცესი დოსითეოს II-ის „პატრიარქების ისტორიისა“ და ეპისტოლეების მიხედვით, 1683-1685 წლებს არ სცილდება.<sup>3</sup>

დოსითეოს II ინფორმაციას ნმ. ჯერის მონასტრის ვალების გადახდისა და „დანგრევის პირამდე“ მისული მონასტრების გადარჩენის შესახებ ცვლის ადრესატების შესაბამისად (სავარაუდოდ, ითვალისწინებს ბერძენთა ძირითადი მიზნის განხორციელების მომავალ პერსპექტივას ქართული მონასტრების დასასაკუთრებლად). ამ მიზნით იგი არსებითად მხოლოდ საქართველოში გამოგზავნილ წერილებში წარმოაჩენს ქართველთა წვლილს და ძალისხმევას ნმინდა მიწაზე ქართული ეკლესია-მონასტრების შესანარჩუნებლად; თუმცა აქაც ერთმანეთის გამომრიცხავი განცხადებები ჩნდება: „ჩვენ აღვადგინეთ ივერთა მონასტრები ივერიელთა დახმარების გარეშე“; ამასთან, კარგად ახსოვს, რომ მისი აქტი-

<sup>3</sup> ნმინდა საბას ლავრაში აღდგენითი სამუშაოების ჩატარების თარიღად მ. სიმბკის მიერ „История Иерусалимских патриархов“-ში მითითებული თარიღი - 1688 წელი კორექტურული შეცდომა უნდა იყოს. ლავრის აღდგენის უფლება პატრიარქმა მიიღო მას შემდეგ, რაც ქართველებისათვის („на русин“) გადაიხადა 94 000 პიასტრი. ეს კი მოხდა 1685 წელს (Симонид 1904, თავი XI, პარაგრაფი 2); საბას ლავრის „გადაკეთების“ თარიღად იქვე მითითებული 1686 წელი, რაც საეჭვოა (იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს არქივში დაცულია 1684 წლის „თეზქერე“, რომელიც სულთნის ბრძანებულების გამოსაცემად იყო საჭირო).

ური მონაწილეობით 1681 წლის ზაფხულში ქართლში შედგა „პირობინ“, იგივე „გარიგების წიგნი“, რომლის თანახმად, „საქმე ჩვენი (ბერძენის - ც.ა) იქნება. ფულს კი მათი უგანათლებულესობანი“ - მეფე გიორგი XI და ლევან ბატონიშვილი გაიღებდა: მისი თქმით. „ფული ჯვრის მონასტრის ვალის გათანაბრების სრულად გადახდისათვის მივიღეთ მყარად და მთლიანად“. მოუხედავად ამისა, ბერძნულ საპატრიარქოს მაინც დასჭირებია ივერიელთა ნაცვლად ხარჯის გაღება: „მაგრამ არ ითხოვენ არც ბევრს და არც ცოტას, პირიქით, უბრუნებენ წმ. ჯვრის მონასტერს“ (1706 წლის ივნისი, ეპისტოლე VI).

ცხადია, ბერძნული საპატრიარქო შეადგენდა ანგარიშს და ზუსტად აღრიცხავდა თანხას, რომელიც იერუსალიმში ქართული მონასტრების შესანარჩუნებლად იხარჯებოდა. „იერუსალიმის პატრიარქების ისტორიაში“ დოსითეოს II წერდა, რომ წმ. ჯვრის, წმ. ნიკოლოზის, წმ. ბასილის, წმ. თევდორეს, წმ. ანას და წმ. გიორგის (ევრიადში) ივერთა მონასტრების შეკეთებაზე დაიხარჯა 20 000 გროში, ვალის გადახდასთან დაკავშირებით კი ზოგადად აღნიშნავდა: „ქართველებმაც მოგვეცეს“ (Каптерев 1896: 142-143).

იერუსალიმში ქართველ მეცნიერთა ზემოთ ხსენებული ექსპედიციის მუშაობის დროს თ. ცერაძეს საშუალება მიეცა გასცნობოდა წმინდა საფლავის ბერძნულ ხელნაწერთა კოლექციის N523 ხელნაწერს, რომელიც, ფაქტობრივად ხარჯთაღრიცხვის დავთარი აღმოჩნდა (ცერაძე 2003: 47). მასში შეტანილია წმ. ჯვრის, წმ. ნიკოლოზის, წმ. ბასილის, წმ. თევდორეს, წმ. გიორგისა და წმ. საიდნაიას (იგივე წმ. ანას) ხარჯთაღრიცხვა 1665 წლის 1 ოქტომბრიდან 1696 წლის 25 ოქტომბრამდე, ანუ იმ დრომდე, ეიდრე აღნიშნული ქართული მონასტრები ბერძნული საპატრიარქოს გამგებლობაში გადავიდოდა. იერუსალიმის ქართული მონასტრები წმ. საფლავის ბერძნული ძმობის გამგებლობაში გადავიდა 1695 წელს სულთან მუსტაფა II-ის (1695-1701) მიერ გაცემული ბრძანებულებით: ქართველთა მონასტრები და ვაკუფები ბერძნებმა მართონ. იღუმენად არ დადგინდეს ქართველი თუ არ იქნება განჩინება და ნერილი ქართველი ხელისუფლისა (Tselika 1992:413). ამდენად, საეჭვოა, რომ ხსენებულ „ხარჯთაღრიცხვის დავთარში“ შეეტანათ საქართველოდან ჩატანილი თანხისა და მოსაკრებელთა ოდენობა.

ქვემოთ ქვეყნდება სულთან მეჰმედ IV-ის ბრძანებულების ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით:

[1] صورت امر شريف عاليشاندر

[2] اصلندن نقل و تحرير اولندی

[1] مطابقه لأصله المطاع لله الفقير اليه تعالى

[2] حسين بن أحمد المأمور باستماع الأمور

[3] الشرعيه العسكرية من له الأمر

[4] غفر لهما

VII B 7 689

Handwritten signature or title in Arabic script, possibly reading 'Sultan Mehmed IV'.

Main body of handwritten text in Arabic script, containing the official decree or order.

Handwritten text on the right margin, likely a date or administrative note.



Handwritten text at the bottom left corner, possibly a signature or date.

- [1] افاضى قضات المسلمين اولى ولات الموحدين معدن الفضل واليقين حجة الحق على الخلق  
اجمعين وارث علوم الانبيا والمرسلين
- [2] المختص بيمزيد عنيت المليك المعين مولانا قدسى شريف قاضيسى زيدت فضايله  
توقيع رفيع هليون واصل اولجاق معلوم اوله كه
- [3] قدسى شريفده واقع روم طايفه سى بطريق اولان نام نصرانى و راهبرى  
ترگاه معالامه
- [4] عرضحال اينوب بونلريك قديمى تصرفلرين اولان مخصوص مناسترلرنده قدسى  
شريف خاريجنده غير
- [5] ناحيه سنده مار صلوه نام مناستر و محامتلرنده گورجى طايفه سنده مخصوص اولان قدس  
شريف ظاهرنده
- [6] دير المصلبه و مناستر مزبوره تابع نفس قدسى شريفده دير النكلز و دير التفافه sic!  
ومار تدريس
- [7] مار بلسليوس و قمام الحضر نام قديمى مناسترلرينك مرور ايتلى و ديوار لرى و سقى
- [8] و ساير بعضى يرلرى خرابه مرده اولوب مومى اليه نكر اولنان مناسترلرينك خراب  
اولان يرلرى
- [9] بوندن اقم واضع قرلميب اوزره تعمير اولنمق ايچون جانب شرعدن حجت شرعيه و يرلوب
- [10] بونلر نخي حجت شرعيه موجبجه قرلميب اوزره انن شرعله تعمير ايليوب خلاف شرع  
شريف وضع
- [11] او لميوب نخل و رنجيده اولنمق لازم كلمز ايكن حالا گلان اهل عرف طايفه سى
- [12] و بعضى كمسنه لر مجد مغاير تعمير و جلب مال ايچون اول حجت شرعيه به  
مقايديسز قديمى مناسترلر كزى
- [13] خراب اولان يرلرين مقدا تعمير ايتمشسز كشف و هدم ايده رز ديو خلاف شرع  
شريف تعدى
- [14] و رنجيدن حلى اولمديغى بلدروب حجت شرعيه لرى موجبجه عمل اولنوب  
خلافه شرع شريف تعدى ايتديرلميب
- [15] منع و دفع اولنمق بابنده امر شريفم رجه ايلنكلرى اجلدن خلافه شرع تعدى ايتديرلميوب  
امرم اولمشدر
- [16] ببوردم كه حكم شريفمله و صول بولنقده بو بابنده صدر اولان امرم اوزره عمل  
اينوب نخي
- [17] مخصوص مزبوره عام مقيد و حجت شرعيه نظر اينوب گوره سن عرض اولندوغى  
اوزره

[18] رهبان فخراسنه ظلم و تعدى اولئو غى رضای شریفم یوقدر مزبور لره محکم تنبیه و تکلیف ایلیه سکز من بعد

[19] اول حجت شرعیه به مغایر بونلری اول و جهله قنیمی مناسترلر یکزده خراب اولان یرلرین تعمیر

[20] اینمشسز کشف و هدم اینرز دیو مجذا اخذ و جلب ایچون خلاف شرع شریف تعدى و و رنجیده و رمیده

[21] اینتیر میوب منع و نفع ایلیه سن شرع شریف و امر همایونمه مخالف کمسنه به ایش ایند رمیوب

[22] حصوصی مزبور ایچون تکرار امرم واریلوب ایلیمه سن شوپله بله سن و بعد النظر بو حکم همایونمی ینلرینه

[23] ابقا ایوب علامت شریفه اعتماد قلاسن تحریرا فی اواسط شهر صفر الخیر منه سبع و تسعین و الف

بمقام ادرنه

**დამონშების ფორმულა: მაღალღირსეული წმინდა ბრძანებულების პირო, გადმოღებული და გადმონწერილი დედნიდან**

შესაბამისია მისი მაღალი დედნისა, მიჰყვება მის ენას. გლახაკი მონა მაღალი ალაჰისა, ჰუსეინი იბნ აჰმედი - სამხედრო შარიათის მორჩილი მსახური.

ალაჰიმც მიუტეევებს ორთავეს.

წარწერა ბეჭედზე: 'ატა იბნ მურადი, ჰუსეინი

მუსლიმ მსაჯულთა შორის უსამართლიანესს. მართლმორწმუნე მმართველთაგან საუკეთესოს, სიბრძნისა და სიკეთის საბადოს, შარიათისა და მაჰმადის სჯულის ცოდნით ამალღებულს, მოციქულთა და წინასწარმეტყველთა მეშვედრეს, მეფისაგან უხვი წყალობით გამორჩეულ შევლანას,' წმ. იერუსალიმის ყადის, გამრავლდეს მასზე სიკეთე, როცა უზენაესი მაღალი თევკიუი<sup>2</sup> მიადნევეს, ეცნობოს: წმ. იერუსალიმში მცხოვრებ ბერძენთა პატრიარქმა სახელად [...], ქრისტიანმა და მისმა ბერებმა ჩემს მაღალ კარიბჭეში არზა გამოგზავნეს და გვაცნობეს, რომ ძველთაგანვე მხოლოდ მათ კუთვნილ მონასტრებში - წმ. იერუსალიმის გარეთ. კედრონის მხარეში წმ. საბად სახელდებულ მონასტერსა და ლავრაში. წმ. იერუსალიმის ფარგლებს მიღმა. ქართული ხალხის კუთვნილ წმ. ჯერისა და ხსენებული მონასტრისადმი დაქვემდებარებული წმ. იერუსალიმის შიგნით მდებარე წმ. ნიკოლოზის, წმ. თეკლას (?!), წმ. თევდორეს, წმ. ბასილის და წინასწარმეტყველის აღდგომის (صام) სახელით ცნობილი ძველი

მონასტრების დაზიანებული ტალანი, კედლები, სენაკები, ქერი და სხვა ადგილები ჩამოინგრა და გავერანდა.

ხსენებული მონასტრების ჩამონგრეული ადგილების აღსადგენად ადრე წმინდა შარიათის პუჯათი გამოსცეს - ისე უნდა აღედგინათ, რომ შენობები არ დაენგრიათ. მათაც შარიათის პუჯათის შესაბამისად შენობები არ დაუნგრევათ და მიღებული ნებართვის მიხედვით მხოლოდ შეაკეთეს. ამიტომ იმათ საქმეში ჩარევა და მათი სიმშვიდის დარღვევა საჭირო არ იყო. ახლა აქ მოსული ადგილობრივი მდაბიონი და სხვანი გვეუბნებიან, რომ თქვენ ქონების მისატაცებლად, წინააღმდეგ პუჯათის პირობებისა, ადრეც დიდი გარჯის გარეშე შეაკეთეთ მონასტრების ჩამონგრეული ადგილები - ჩვენ ეს ცხადვეყავით და დავანგრევთო. [ბერებმა] შეგვატყობინეს, რომ წმინდა შარიათის სანინააღმდეგოდ, მათი ზღვარდაუდებელი მოქმედებისა და შეურაცხყოფისაგან მოსვენება არა აქვთ.

რადგან გეთხოვეს ჩემი წმინდა ბრძანებულება, შესახებ იმისა, რომ იმოქმედონ შარიათის პუჯათის მიხედვით და წმინდა შარიათის სანინააღმდეგო ქმედებით ზღვარს არ გადავიდნენ, როცა ჩემი წმინდა პუქმით მოვლენ, იმოქმედეთ ჩემი ბრძანებულების შესაბამისად. თან საგანგებოდ მოიძიეთ ხსენებული ხალხის შესახებ სასამართლო დავთარში ჩანაწერი და შარიათის პუჯათი. დარწმუნდებით, რომ ჩემი წმინდა ნება-სურვილი არ არის, ლატაკ ბერებს ისე მკაცრად და არაადამიანურად, ზღვარგადასულად მოეპყრათ, როგორც ეს მათ არზაშია წარმოდგენილი. ხსენებულების მიმართ იყავით სამართლიანნი, გამოიჩინეთ მათდამი ყურადღება და მზრუნველობა.

შემდგომად ამისა, თუ მუსლიმი მდაბიონი კვლავ განაცხადებენ შარიათის პუჯათის სანინააღმდეგოდ - თქვენს ძველ მონასტრებში აღდგენილ, ჩამოშლილ ადგილებს გამოვაულებთ და აშენებულს დავანგრევთო - ძალით ახალბად და წასართმევად წმინდა შარიათის წინააღმდეგ ზღვარს ნუ გადავლენ და კანონს ნუ დაარღვევენ.

შარიათის პუჯათისა და ჩემი უზენაესი ბრძანებულების სანინააღმდეგო, შეუფერებელ საქმეს ნურავის ჩაადენინებთ. საჭირო არ გახდეს ხსენებული ვითარების გამო ჩემი ბრძანებულების განმეორებით გამოცემა. ასე იცოდნენ, მას შემდეგ რაც გაეცნობიან, ეს ჩემი უზენაესი პუქმი მათ ჩააბარონ. წმინდა ნიშანს მიენდონ.

დაინერა კეთილი საფარის შუა რიცხვებში, ათას ოთხმოცდაჩვიდმეტ ნელს. ადგილსა მას ედირნეს.

### შ ე ნ ი შ ე ნ ე ბ ი

1. მევლანა < არაბ. **صفا** ბატონი, მასწავლებელი. 'نصفا' > ჩვენი ბატონი, ჩვენი მასწავლებელი. საერო და სასულიერო ავტორიტეტების საპატიო ტიტული.
2. თევკიცი - (არაბ. **تقي**) ფადიშაჰის ბრძანებულება. თავდაპირველად თევკიცი თულრის მნიშვნელობით გამოიყენებოდა. დროთა განმავლობაში გაფართოვდა მისი შინაარსი და ეწოდა სულთნის თულრით გამოცემულ სიგელს (Недков 1966:46).
3. ოსმალურ დიპლომატიკაში მიღებული იყო ბრძანებულების ტექსტში თანამდებობის აღნიშვნა, ხოლო საკუთარი სახელისთვის თავისუფალი ადგილი რჩებოდა. საკუთარი სახელი იწერებოდა კონკრეტული პირისადმი გავზავნილ წერილში, როგორც წესი, მხოლოდ ჰათთი ჰუმაიუნსა და ბერათებში (შდრ. ჯიქია 1971: 240; აბულაძე 1973: 299).
4. ჰუჯათი < **تجاه**-არაბ. ჰუჯჯათ - საბუთი, მონშობა, არგუმენტი > შარიათის სასამართლოს გადაწყვეტილებათა წიგნიდან ამონერილი და დაინტერესებულ პირზე გაცემული ოფიციალური საბუთი. ეს არის ყადის გადაწყვეტილება ვრცლად (ჯიქია 1969: 165-168).
5. 1686 წლის იანვარი

### გამოყენებული ლიტერატურა

1. აბულაძე 1973: აბულაძე ც., ოსმალობის ხანის სამი თურქული ფირმანი აღმოსავლური ფილოლოგია, 1973. ტ. III.
2. მამისთვალშივილი 2001: მამისთვალშივილი ელ., ქართლის სამეფოსა და იერუსალიმის საპატრიარქოს ურთიერთობის ისტორიიდან (XVII საუკუნის მეორე ნახევარი). ქართული დიპლომატია ნელინდეული, 2001. ტ. 8.
3. მამისთვალშივილი 2008: მამისთვალშივილი ელ., საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან(XVI-XVII სს), თბ., 2008.
4. ორენი 1991: სალამე ო. გერშონ ბენ ორენი, ქართველები იერუსალიმში XVI საუკუნის სამი არაბული დოკუმენტის მიხედვით. თბ., 1991.
5. ტივაძე 1971: ტივაძე თ., იერუსალიმის პატრიარქის დოსითეოსის წერილი საქართველოს შესახებ. ქართული წყაროთმცოდნეობა, 1971. ტ. III.
6. ცერაძე 2003: ცერაძე თ., ახალი მონაცემები იერუსალიმის ქართული სამონასტრო კოლონიის შესახებ, Akademia, ისტორიულ-ფილოლოგიური ჟურნალი, 2003. ტ 5 (A).
7. ჯაფარიძე, ბუაჩიძე 2009: ჯაფარიძე გ., ბუაჩიძე გ., წმინდა მინაზე ქართული ეკლესიის ისტორიის არაბული დოკუმენტური წყაროები სინაზ მთის წმ. ეკატერინეს მონასტრისა და იერუსალიმის წიგნთსაცავებში, ისტორიანი-სამეცნიერო კრებული მიძღვნილი როინ მეტრეველის დაბადების 75 წლისთავისადმი, 2009.

8. ჯიქია 1969: ჯიქია ს., ოსმალური იურიდიული დოკუმენტები XVIII საუკუნის პირველი ნახევრის ქართლში. აღმოსავლური ფილოლოგია, ტ. I, 1969.
9. ჯიქია 1971: ჯიქია ს., სულთან აჰმედ III-ის ფირმანი ბაქარ ბაგრატიონს, ქართული ნყაროთმცოდნეობა, ტ. III, თბილისი, 1971.
10. Каптерев 1896: Каптерев Н. Ф., Сношения Иерусалимского патриарха Досифея с русским правительством (1669-1707), С.-Петербург, 1896.
11. Каптерев 1897: Каптерев Н.Ф. , Господство греков в Иерусалимском патриархате, საიტზე: <http://dugward.ru/library/kapterev/kapterev-gosподство-grekov.html>
12. Недков 1966: Недков Б., Османотурска дипломатика и палеография I, София, 1966.
13. Сивский 1904: Сивский М., История Иерусалимских Патриархов со времен шестого вселенского собора до 1810 г, ППС Вып. 55, С.-Петербург, 1904.
14. Heyd 1960: Heyd U., Ottoman Documents on Palestine, Oxford., 1960.
15. Τσελίκια 1992: Τσελίκια Α., Καταγραφή του Αρχείου του πατριαρχείου Ιεροσολύμων, Αθήνα, 1992.

**Tsisana Abuladze**

## **SULTAN MEHMED THE IV'S ORDER TO THE KADI OF JERUSALEM ABOUT THE GEORGIAN MONASTERIES ON THE HOLY LAND**

### **SUMMARY**

The article investigates the order given by Sultan Mehmed IV (1648-1687) to the Kadi of Jerusalem who was told to protect certain places from Muslims' attacks. Namely: newly restored St. Saba's Lavra, the church of Resurrection and Georgian Monasteries of the Holy Cross, St. Nikoloz, St. Basilios, St. Theodoros. The churches of St. Anna and St. George (Evriad), having been restored in the same period, are not mentioned in the Order of the Sultan.

The Order given by Sultan Mehmed IV depicts vividly the process of transition of the Georgian monasteries on the Holy Land to the domain of the Greek. Sadly enough, there is only a copy of this Order housed at the Archive of the Jerusalem Greek Patriarchate Library.

The Ottoman text of the Order given by Sultan Mehmed IV and its Georgian translation with notes and facsimile is appended.